



სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და
საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030641323687719

14 / ივნისი / 2019 წ.

თბილისი #06-117/თ

**ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოძრავი ქონების სარგებლობაში
გადაცემის შესახებ**

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის, „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N 302 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 28 მარტის #107/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის, მე-3 პუნქტის, „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი“-ს (შემდგომში-ცენტრი) სარგებლობაში არსებული მოძრავი ქონება თანდართული დანართის შესაბამისად, გადაეცეს მცხეთის, ხარაგაულის, ახმეტის, სიღნაღის, წალკის, ქარელის, ადიგენის, მარტვილის, აბაშის, ჩოხატაურის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტების მერიებს სარგებლობაში უვადოდ, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრების საჭიროებისათვის.
2. ცენტრი, ამ ბრძანების საფუძველზე, ამავე ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოძრავ ქონებას ბალანსიდან იხსნის ქონების გაცემის მომენტიდან.
3. ამ ბრძანების პირველ პუნქტში აღნიშნული ქონების გადაცემასთან დაკავშირებით შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტზე ხელისმომწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ცენტრის ლოჯისტიკის სამმართველოს უფროსს ზურაბ ბარიაშვილს.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.
5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის. ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კილომეტრი) ერთი თვის ვადაში.

საფუძველი:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის თანხმობა (რეზოლუცია).
2. ცენტრის საზოგადოებრივი ჯანდაცვის რეგიონული მართვის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ეკატერინე ჟორჯოლიანის 2019 წლის 03 ივნისის #7211 მოხსენებითი ბარათი.

გენერალური დირექტორი



ამირან გამყრელიძე